



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის  
სტუდენტური თვითმართვებლობის დებულება

## თავი I

### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1.

1. ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოა, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის დებულებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის გარეთ.
2. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

#### მუხლი 2.

სტუდენტური თვითმმართველობა შედგება, თანასწორი და პროპორციული საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით არჩეული 12 დელეგატისაგან.

#### მუხლი 3.

სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

#### მუხლი 4.

სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის შენობა.



**მუხლი 5.**

სტუდენტურ თვითმმართველობას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებითა და თანხმობით შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ბეჭედი, შტამპი, საანგარიშგებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და დებულებით გათვალისწინებული სხვა ატრიბუტიკა.

**მუხლი 6.**

სტუდენტური თვითმმართველობის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა ყველა წევრისა და თვითმმართველობასთან დაკავშირებული პირისათვის. თვითმმართველობის ნებისმიერი სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე დებულებას.

**თავი II**

## სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლება-მოვალეობები

**მუხლი 7.**

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

- ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში;
- გ) დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- დ) დაეხმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში;
- ე) ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა;
- ვ) ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას, დაეხმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას;

ზ) შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობის ან სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება.

## მუხლი 8

სტუდენტური თვითმმართველობა თავის უფლებამოსილების ფარგლებში:

- ა) იცავს და წარმოადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;
- ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებას;
- გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე წყვეტს სასწავლო პროცესთან და მატერიალურ მხარესთან დაკავშირებულ საკითხებს;
- დ) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს ან/და აკადემიურ საბჭოს;
- ე) პერიოდულად ახდენს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას და შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოსა ან/და წარმომადგენლობით საბჭოს;
- ვ) გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;
- ვ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს ინტერესების განხორციელების პროცესში;
- ზ) თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრევე გაერთიანებებთან;
- თ) გააჩნია კავშირი საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან;
- ი) სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად ახორციელებს „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 9.

სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

- ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტი და სპეც-სახსრებიდან მიღებული შემოსავალი;
- ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;
- გ) მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება, რომლის მართვაც ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
- დ) სხვა კანონით ნებადართული შემოსავლები.

## თავი III

### სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი

#### მუხლი 10.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი არის წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული სტუდენტი.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად.

#### მუხლი 11.

სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.

#### მუხლი 12.

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და მთავრდება ახალარჩეული დელეგატების პირველი შეკრებისთანავე.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
  - ა) პირადი განცხადება;
  - ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება;
  - გ) სტუდენტის სტატუსი შეწყვეტა;
  - დ) უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის ან სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევა;
  - ე) არასაკმარისი მიზეზით, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ ორი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;
  - ვ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
  - ზ) გარდაცვალება.

#### მუხლი 13.

დელეგატის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მისი უფლებამონაცვლის საკითხი რეგულირდება წინამდებარე დებულებით.

**მუხლი 14.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი უფლებამოსილია:

- ა) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშობაში;
- ბ) იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;
- გ) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;
- დ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშავოს, წარუდგინოს დასამტკიცებლად საერთო კრებას და დამტკიცების შემდეგ განახორციელოს ისინი;
- ე) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;
- ვ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე გათვალისწინებული ვალდებულებები;
- ბ) დაიცვას უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
- გ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
- დ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;
- ე) დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების.

**მუხლი 15.**

სტუდენტურ თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრი, რომელსაც არ გააჩნია სათათბირო ხმის უფლება. საპატიო წევრის წოდებას ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება.

## თავი IV

### სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა

#### მუხლი 16.

სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

- ა) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;
- ბ) სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი პირები - პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი

#### მუხლი 17.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობით და უმაღლეს გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ასრულებენ თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას;
3. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი აღმასრულებელი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.
4. სტუდენტური თვითმმართველობის გასაკონტროლებლად იქმნება მონიტორინგის სამსახური, რომელიც წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის მაკონტროლებელ ორგანოს.

## თავი V

### სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება

#### მუხლი 18.

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის მმართველობის უმაღლეს ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა დელეგატისაგან.

**მუხლი 19.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება იკრიბება თვეში ერთხელ მაინც.
2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების მოწვევის თარიღს განსაზღვრავს და შესაბამის დღის წესრიგს ადგენს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებს ეცნობება საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი დღით ადრე.

**მუხლი 20.**

სტუდენტურ თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

- ა) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით;
- ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი დელეგატების არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნით;

**მუხლი 21.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს თავმჯდომარეობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
3. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ხმა.

**მუხლი 22.**

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება:

- ა) იღებს გადაწყვეტილებებს სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციონირებასთან და მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით
- ბ) ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის სახელით განსახორციელებელი პროექტებს და მათ ბიუჯეტებს
- გ) ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ და უნივერსიტეტის რექტორის მიერ დადასტურებულ სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტს;



- დ) ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყვეტს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს;
- ე) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს დადგენილებები, რომლებსაც ხელს აწერს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- ვ) ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და ამ დებულებას.

## თავი VI

### სტუდენტური თვითმმართველობის თანამდებობის პირები

#### მუხლი 23.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება საერთო კრების სხდომებს, უზრუნველყოფს საერთო კრების მიერ გადაწყვეტილებების აღსრულებას და წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობებში.
2. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ან პრეზიდენტის დავალდების საფუძველზე.

#### მუხლი 24.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი აირჩევიან 2 წლის ვადით.
2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს სათანადო წესით რეგისტრირებულ სტუდენტთა გაერთიანებას

**მუხლი 25.**

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი შეიძლება იყვნენ სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული დელეგატი, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, ქმედუნარიანი, არ იკავებს უნივერსიტეტში რამე ადმინისტრაციულ თანამდებობას და არ არის ნასამართლევია.

**მუხლი 26.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.
2. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ყველა პირს უწყდება უფლებამოსილება.

**მუხლი 27.**

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
  - ა) პირადი განცხადება;
  - ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
  - გ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;
  - დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
  - ე) გარდაცვალება.
2. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს ვიცე-პრეზიდენტი.
3. ვიცე-პრეზიდენტის მიერ პრეზიდენტის ფუნქციების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში პრეზიდენტის ადგილს იკავებს თვითმმართველობის დელეგატებიდან არჩეული ერთერთი პირი.

**მუხლი 28.**

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

- ა) ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;
- ბ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებას;
- გ) უძღვება საერთო კრების სხდომებს;
- დ) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობებში;

- ე) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტებს;
- ვ) ხელს აწერს საერთო კრებისა სამართლებრივ აქტებს;
- ზ) ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს მოქმედი თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა;
- თ) შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს საერთო კრებას დასამტკიცებლად, ხოლო დამტკიცების შემდეგ წარიდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასადასტურებლად;
- ი) იღებს პროექტების განაცხადებს და დასამტკიცებლად და დასაფინანსებლად წარიდგენს საერთო კრებას;
- კ) წარადგენს ინიციატივებს საერთო კრებაზე ცალკეულ სტუდენტთა დაფინანსების შესახებ;
- ლ) კოორდინაციას უწევს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;
- მ) ხელს აწერს მონიტორინგის სამსახურის დასკვნას სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისთვის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის თაობაზე;
- ნ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გამოსცემს ბრძანებებს;
- ო) ანიჭებს სტუდენტური თვითმმართველობის საპატიო წევრის წოდებას;
- პ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

## მუხლი 29.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია:

- ა) 6 თვეში ერთხელ საერთო კრებას წარუდგინოს ანგარიში სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ;
- ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატისთვის აუცილებელი მოთხოვნები.

## მუხლი 30.

1. საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა არანაკლებ 1/3-ს შეუძლია დაიწყოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა და დარღვევის ფაქტები გადაუგზავნოს მონიტორინგის სამსახურს.
2. იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებიდან 10 დღის ვადაში მონიტორინგის სამსახური იკვლევს ფაქტებს, წერს დასკვნას და 5 დღის ვადაში მოიწვევს საერთო კრებას, რომელსაც აცნობს მიღებულ დასკვნას.

- საერთო კრება კენჭს უყრის პრეზიდენტის გადაყენების საკითხს. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო კრების შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

## თავი VII

### სტუდენტური თვითმმართველობის არჩევის წესი

#### მუხლი 32

- სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ცხადდება რექტორის ბრძანებით, რომლითაც ამავდროულად განისაზღვრება არჩევნების ვადები.
- არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 5 წევრისგან.
- არჩევნების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია შეყვანილი იქნას სტუდენტები და არჩევნების ორგანიზებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.
- კომისია ვალდებულია, არჩევნები ჩაატაროს წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის სხვა რეგულაციებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.
- საარჩევნო კომისია არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით უფლებამოსილია შესაბამის ფაკულტეტებზე შექმნას საარჩევნო ქვეკომისიები.

#### მუხლი 33.

- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისივე შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.
- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპონდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
5. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები ამ წესით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად შესაძლებელია იღებდნენ ანაზღაურებას, ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

#### მუხლი 34.

საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

#### მუხლი 35.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრები აირჩევიან ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე ყველა წევრის მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

#### მუხლი 36.

1. არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით სტუდენტები ქმნიან მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 20 კაციან სტუდენტურ ჯგუფს, რომლიდანაც სიის პირველ 8 სტუდენტში დაცული უნდა იქნას შემდეგი პრინციპი:
  - ა) მინიმუმ 3 სტუდენტი უნდა იყოს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი;
  - ბ) მინიმუმ 2 სტუდენტი უნდა იყოს ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტი;
  - გ) მინიმუმ 3 სტუდენტი უნდა იყოს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, რომელთაგან მინიმუმ 2 უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, ხოლო მინიმუმ 1 ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.
2. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატად შეიძლება არჩეულ იქნეს ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელსაც არჩევნების მომენტისთვის აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი და არ უკავია უნივერსიტეტში ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა.

2. არჩევნებში რეგისტრაციის მიზნით სტუდენტურმა ჯგუფმა დადგენილ ვადებში უნდა მიმართოს საარჩევნო კომისიას და წარადგინოს შევსებული განაცხადის ფორმა (დანართი 1). განაცხადთან ერთად სტუდენტები წარმოადგენენ ჯგუფის სამოქმედო გეგმასა და საარჩევნო პროგრამას.
3. განაცხადის წარმოდგენის თანმიმდევრობის მიხედვით სტუდენტურ ჯგუფებს ენიჭებათ საარჩევნო ნომერები.
4. რეგისტრირებულ სტუდენტურ ჯგუფებს შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი სიმბოლიკა.

### მუხლი 37.

1. სტუდენტური თვითმართველობა შედგება 12 დელეგატისაგან, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:
  - ა) დელეგატის სტატუსი ენიჭება არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტური ჯგუფის სიის პირველ 10 სტუდენტს, რომელთაგან მინიმუმ 3 სტუდენტი უნდა იყოს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი; მინიმუმ 2 სტუდენტი უნდა იყოს ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის სტუდენტი; მინიმუმ 3 სტუდენტი უნდა იყოს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, აქედან მინიმუმ 2 უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, ხოლო მინიმუმ 1 ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.
  - ბ) დელეგატის სტატუსი ენიჭება არჩევნებში მეორე საუკეთესო შედეგის მქონდე ჯგუფის პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებად რეგისტრირებულ პირებს.
2. არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტური ჯგუფის პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები ავტომატურად იკავებენ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობებს.

### მუხლი 38.

იმ შემთხვევაში თუ არჩევნებში მონაწილე სტუდენტურმა ჯგუფებმა მიიღეს ხმების თანაბარი ოდენობა და ვერ ხერხდება გამარჯვებულის გამოვლენა, ტარდება განმეორებითი არჩევნები საუკეთესო თანაბარი ხმების მოქნე ჯგუფებს შორის ამ დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვით.

### მუხლი 39.

სტუდენტური თვითმართველობის დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დელეგატის სტატუსი მიენიჭება იმავე სტუდენტური ჯგუფის სიით გათვალისწინებულ მომდევნო სტუდენტს წინამდებარე დებულების 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტში მოცემული პრინციპის (ფაკულტეტის/საგანმანათლებლო პროგრამის კვოტების)

გათვალისწინებით. თუ ასეთი სია ამოწურულია, მაშინ დელეგატის სტატუსი მიენიჭება საუკეთესო მეორე შედეგის მქონე ჯგუფის ნუმერაციით მომდევნო სტუდენტს.

#### მუხლი 40.

1. სათანადო წესით რეგისტრირებულ სტუდენტურ ჯგუფს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა ჯგუფი სარგებლობს თანასწორი უფლებებით.
2. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
3. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:
  - ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;
  - ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.
4. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებებით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
5. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს.

#### მუხლი 41.

1. საარჩევნო სიებს ამტკიცებს საარჩევნო კომისია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარდგინების საფუძველზე.
2. საარჩევნო სია გადაეცემა საარჩევნო კომისიას.

#### მუხლი 42.

1. კანდიდატთა (ჯგუფების) რეგისტრაცია მიმდინარეობს მინიმუმ 7 და მაქსიმუმ 10 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ჯგუფი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 1 დღის განმავლობაში.
2. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს გაცნობიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 1 დღის განმავლობაში.

#### მუხლი 43.

1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას ამტკიცებს საარჩევნო კომისია.

2. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:
  - ა) ჯგუფის ნომერი
  - ბ) ჯგუფის დასახელება
4. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე, მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.
5. კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის ამომრჩეველი სარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში, მას შემდეგ, რაც წრიულად შემოხაზავს ან იმდაგვარად აღნიშნავს სასურველ კანდიდატს, რომ შესაძლებელი იქნება ამომრჩევლის ნების იდენტიფიცირება მისთვის სასურველ კანდიდატ(ებ)თან, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.

#### მუხლი 44.

1. არაუგვიანეს არჩევნების ჩატარებამდე 5 დღისა კანდიდატად რეგისტრირებულ ჯგუფს შეუძლია წარადგინოს საარჩევნო კომისიაში არაუმეტეს 2 დამკვირვებელი.
2. დამკვირვებელი უფლებმოსილია შეუზღუდავად გადაადგილდეს არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე და დააკვირდეს ყველა საარჩევნო პროცედურას.
3. საარჩევნო კომისია დამკვირვებლებისათვის ამზადებს სპეციალურ მოწმობებს.
4. თუ დამკვირვებელი არღვევს წესრიგს უბანზე ან საფრთხეს უქმნის ამომრჩევლის ნების ტავისუფალ გამოვლენას საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ის შეიძლება გაძევებულ იქნეს უბნიდან.
5. დამკვირვებელს ეკრძალება აგიტაციის წარმოება პირდაპირი ან ირიბი ფორმით.
6. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:
  - ა) ასარჩევი კანდიდატი;
  - ბ) ადმინისტრაციული პერსონალი;
6. საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

#### მუხლი 45.

1. კენჭისყრა იწყება 10.00 საათზე და მთავრდება იმავე დღეს 17.00 საათზე.
2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან სარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ცალ-



ცალკე, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატი ჯგუფის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

3. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე პირთა 1/6-ზე მეტმა.
4. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.
5. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:
  - ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმოწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;
  - ბ) თუ არ არის შემოხაზული (იმდაგვარად აღნიშნული რომ ირკვეოდეს ამომრჩევლის ნება) არც ერთი კანდიდატურა;
  - გ) თუ შემოხაზულია/აღნიშნული ერთზე მეტი კანდიდატა ჯგუფი;
  - დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს/ჯგუფს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
6. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:
  - ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
  - ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
  - გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
  - დ) თითოეული კანდიდატი ჯგუფის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
  - ე) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

#### მუხლი 46.

არჩევნების დღეს ამ დადგენილებით დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

- ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
- ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;
- გ) დარღვევის შინაარსი;
- დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
- ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;
- ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
- ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

#### მუხლი 47.

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.

#### მუხლი 48.

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატ ჯგუფს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.
2. საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

#### მუხლი 49.

1. საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს ამტკიცებს შემაჯამებელი აქტით.
2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

## თავი VIII

### სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური

#### მუხლი 50.

1. სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური არის სტუდენტური თვითმმართველობის მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც კომპლექტდება არჩევნებში გამარჯვებული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, არჩევნებში საუკეთესო მეორე შედეგის მქონდე ჯგუფის პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებისგან.
2. არჩევნებში გამარჯვებული ჯგუფი ხმათა უმრავლესობით ირჩევს იმ წევრს, რომელიც შევა თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახრის შემადგენლობაში. ხმების თანაბრად

განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ხმა.

3. თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური ანგარიშვალდებულია მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე.

### მუხლი 51.

მონიტორინგის სამსახურის წევრს არ შეიძლება ეკავოს სტუდენტურ თვითმმართველობაში ნებისმიერი სხვა თანამდებობა.

### მუხლი 52.

1. მონიტორინგის სამსახური თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით იღებს დადგენილებებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. თუ სამსახურის რომელიმე წევრი არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, მას შეუძლია წერილობით დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება, რომელიც თან უნდა ერთვოდეს დადგენილებას.
3. მონიტორინგის სამსახური აქვეყნებს ყოველთვიურ მონიტორინგის ანგარიშს, რომელიც ქვეყნდება უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილზე.

### მუხლი 53.

სტუდენტური თვითმმართველობის მონიტორინგის სამსახური:

- ა) ახორციელებს ფინანსურ კონტროლს;
- ბ) ზედამხედველობს სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტიდან სახსრების მიზნობრივ გადინებასა და ხარჯვას;
- გ) ახორციელებს სამართლებრივ კონტროლს;
- დ) ზედამხედველობს დელეგატების მიერ ამ დებულების დაცვას და მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებას;
- ე) ზედამხედველობს მართვის ორგანოების მიერ მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობებისა და ამ დებულების შესრულებას;
- ვ) განიხილავს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის მიმდინარეობისას, პრეზიდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დარღვევის ფაქტებს;
- ზ) 6 თვეში ერთხელ აწარმოებს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტაციის რევიზიას;

თ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა ფინანსურ და სამართლებრივ კონტროლს, რომლის განხორციელებაც არ ეწინააღმდეგება სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

## თავი IX

### გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

#### მუხლი 54.

1. დებულებას ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების განხორციელება ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უნივერსიტეტის ყველა სამართლებრივი აქტი/ნორმა, რომელიც წინამდებარე დებულებისგან განსხვავებულად არეგულირებს საკითხებს.

#### დანართი:

- განაცხადის ფორმა - [დანართი N 1](#)